თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3462013

ნომერი: AR1529025

თარიღი : 01.08.2017

გაცემის თარიღი : 11.08.2017

გაცნობის თარიღი : 15.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რევაზ ჯაფარიძის ქუჩა N52 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რუსუდან ბედენაშვილი პ/ნ 01024040549
- თბილისი ს.ცინცაძის ქ. N 2 ბ. 3

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1529025 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით #AR1528486 ელექტრონული განცხადებით მოთხოვნილი საკითხის დადებითად გადაწყვეტას და ითხოვთ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართვას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2017 წლის 28 ივლისს #AR1528486 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ლაშა ბრეგვაძემ და მოითხოვა ქ.თბილისში, ჯაფარიძის ქუჩა #52-ში, (ს/კ #01.15.01.002.002) ნებართვის გაცემა ფანჯრის ღიობის მოწყობასთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც სამსახურში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების ჩატარებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდების მითითების შემთხვევაში.